ხელშეკრულება N119
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

ქ. თბილისი **18 ოქტომბერი 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900),

მეორეს მხრივ, **შპს „Citrus"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **შალვა ალავერდაშვილის** სახით (**იურ.მის:** ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №3; **ს/კ:** 404991023; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22 ა/ა GE95BG0000000501285400),

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2016 წლის 18-23 ოქტომბერს, თბილისის მოდის კვირეულზე დასასწრებად, სამკერვალო ინდუსტრიისა და მოდის ინდუსტრიის ექსპორტიორი კომპანიების წამყვანი სპეციალისტების და წარმომადგენლების (7 პერსონა), საქართველოში ვიზიტის ფარგლებში სასტუმროში დაბინავების მომოსახურების შესყიდვა (CPV55110000).

1.2. მომსახურების მიწოდების ადგილებია: HOTEL CITRUS

1.3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 18–23 ოქტომბერს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს არაუმეტეს **6600 (ექვსი ათას ექვსასი)** ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

2.3. შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები, ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, ინვოსის, უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორს ანა კვარაცხელიას, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

3.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი/ები - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც არ იმყოფებიან "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 28 ნოემბრისა.

5. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო	შპს „Citrus"
დირექტორის	დირექტორი
ანა კვარაცხელია	შალვა ალავერდაშვილი
_____	_____